ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 6

ქ. თბილისი, 28 ივნისი, 2023 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,
დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 30 წევრი
სხდომას ესწრებოდა 22 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე პროფესორ **ლევან საბაურის** განთავისუფლების შესახებ

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის შესახებ

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისთვის **აკადემიური ხარისხის მინიჭება**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი,
ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისთვის **მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი,
ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

5. **ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მედეა ხარაიშვილის** სადისერტაციო თემა **„დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა საქართველოში“** შეიცვალოს: **„დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის მიღწევის გზები საქართველოში“** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი**)

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

6. **ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **იზოლდა ლაშქარაშვილის** სადისერტაციო თემა **„ხარისხის მართვის სისტემების ეფექტიანობა და მისი სრულყოფის გზები ბიზნეს კომპანიებში“** შეიცვალოს: **„მომსახურების ხარისხის მართვის სრულყოფის გავლენა სასტუმროების ეფექტიანობაზე“** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი**)

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:
   1. **ზეზვა სანიკიძე - „საქართველოში მოტო და ველოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების სტატისტიკური კვლევა“**
      მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი**
   2. **ანი მაღრაძე - „აგროტურიზმის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების გზები საქართველოში (ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე)“**
      მეცნიერ-ხელმძღვანელები: **ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი**
      ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნატალია გუილლიუ-სულიკაშვილი

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

8. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის **პროფესორ ლევან საბაურის** პირადი განცხადების (14 ივნისი, 2023 წელი) საფუძველზე განთავისუფლების შესახებ.

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ მადლობა გადაუხადა პროფესორ ლევან საბაურს გაწეული მუშაობისათვის.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: პროფესორი ლევან საბაური განთავისუფლდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, **პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ** ფაკულტეტის საბჭოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შესთავაზა **ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის** კანდიდატურა

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად ერთხმად არჩეულ იქნა **ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი.**

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისთვის **აკადემიური ხარისხის მინიჭება**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი,

ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წერილი (№8053/29, 27.03.2023) აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლითაც ითხოვს მიენოჭოს **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური** ხარისხი 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბახტურიძე	დიანა	40001039433
2	ეზიაშვილი	ნიკა	38001047779

წარმოდგენილია ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტები.

აზრი ამ საკითხთთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ***ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური*** ხარისხი 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბახტურიძე	დიანა	40001039433
2	ეზიაშვილი	ნიკა	38001047779

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისთვის **მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი ი. ნაცვლიშვილი/

I. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წერილი (№14375/29, 30.05.2023), რომლითაც ითხოვს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ ირაკლი გაბადაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებას.

ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ირაკლი გაბადაძე** 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 2.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ირაკლი გაბადაძეს ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 8 ივნისის შემაჯამებელი (ოქმი №5) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების

შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2013 წლის დიპლომის დუბლიკატისა და შეცვლილი დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№004211 (სარეგისტრაციო №02/683) რეგისტრირებულია ირაკლი გაბადაძის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ეკონომიკის ფაკულტეტის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ირაკლი გაბადაძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობით“.

ირაკლი გაბადაძის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 8 ივნისის შემაჯამებელი ოქმით (№5) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან. ირაკლი გაბადაძის სახელზე დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმში კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება მის სახელზე გაცემული დიპლომის შესაბამისად.

ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილებით ირაკლი გაბადაძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ ირაკლი გაბადაძეს მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“**. ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 8 ივნისის შემაჯამებელ ოქმში (№5) მითითებულ დღის (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო) განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილება და დღის განყოფილების შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულ ირაკლი გაბადაძეს მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმში (№5, 8.06.2005) მითითებულ დასწრებული სწავლების საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილებების ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

II. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წერილი (№14374/29, 30.05.2023), რომლითაც ითხოვს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 1998 წლის კურსდამთავრებულ გრიგორი ქოზაშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **გრიგორი ნუგზარის ძე ქოზაშვილი** 1994 წლის მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ეკონომიკა და მართვა სოფლის მეურნეობაში (ბრძანება №4/488, 7.08.1994).

ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში (აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკა და მართვა) სპეციალობის კურსდამთავრებულ გრიგორი ქოზაშვილს ეკონომიკის ფაკულტეტის აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 13 ივლისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით**, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1998 წლის 17 ივლისის №4/526 ბრძანებით - **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1998 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№01110 (სარეგისტრაციო №01/528) რეგისტრირებულია გრიგორი ქოზაშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ **„გრიგორ ქოზაშვილი 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 1998 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით გრიგორ ქოზაშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

გრიგორი ქოზაშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 13 ივლისის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/526, 17.07.1998) მინიჭებულ ხარისხთან. გრიგორი ქოზაშვილის სახელზე დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში

კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება მის სახელზე გაცემული დიპლომის შესაბამისად.

ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 13 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით გრიგორი ქოზაშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობის 1998 წლის კურსდამთავრებულ გრიგორი ქოზაშვილს მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“**. ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 13 ივლისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში მითითებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. **შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო** უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 13 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილება და დღის განყოფილების წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობის კურსდამთვრებულ გრიგორ ქოზაშვილს მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის**

კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 13 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) ოქმში მითითებულ დღის განყოფილებების ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: **დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია** ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მედეა ხარაიშვილის** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

დოქტორანტ **მედეა ხარაიშვილის** სადისერტაციო თემა: **„დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა საქართველოში“** ნაცვლად, შეიცვალოს: **„დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის მიღწევის გზები საქართველოში“** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი**)

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა უშანგი სამდაშვილმა

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დოქტორანტ **მედეა ხარაიშვილს** შეეცვალოს სადისერტაციო თემა და დაუმტკიცდეს **„დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის მიღწევის გზები საქართველოში“** .

მოისმინეს: **დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **იზოლდა ლაშქარაშვილის** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

დოქტორანტ **იზოლდა ლაშქარაშვილის** სადისერტაციო თემა **„ხარისხის მართვის სისტემების ეფექტიანობა და მისი სრულყოფის გზები ბიზნეს კომპანიებში“** ნაცვლად, შეიცვალოს: **„მომსახურების ხარისხის მართვის სრულყოფის გავლენა სასტუმროების ეფექტიანობაზე“** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი)**

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 22**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დოქტორანტ **იზოლდა ლაშქარაშვილის** შეეცვალოს სადისერტაციო თემა და დაუმტკიცდეს **„მომსახურების ხარისხის მართვის სრულყოფის გავლენა სასტუმროების ეფექტიანობაზე“**

მოისმინეს: **დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია** დოქტორანტ **ზეზვა სანიკიძის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ზეზვა სანიკიძეს** **დაუმტკიცდეს** სადისერტაციო თემა: **„მოტო და ველოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა საქართველოში“** **და** მეცნიერ ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი**

აზრი გამოთქვეს:

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დაუმტკიცდეს დოქტორანტ **ზეზვა სანიკიძეს** სადისერტაციო თემა: **„მოტო და ველოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა საქართველოში“** და მეცნიერ ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი**

მოისმინეს: **დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია** დოქტორანტ **ანი მაღრაძის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

ტურიზმის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ანი მაღრაძეს** დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემა - **„აგროტურიზმის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების გზები საქართველოში (ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე)“** და მეცნიერ-ხელმძღვანელები: **ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი; ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნატალია გუილლიუ - სულიკაშვილი**

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დაუმტკიცდეს დოქტორანტ **ანი მაღრაძეს** სადისერტაციო თემა - **„აგროტურიზმის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების გზები საქართველოში (ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე)“** და მეცნიერ-ხელმძღვანელები: **ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი; ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნატალია გუილლიუ - სულიკაშვილი**

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის ინფორმაცია მიმდინარე საკითხების შესახებ:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროფესორების მოსაზრებები სადოქტორო სწავლების, დისერტაციის ხარისხის და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით:

1. დოქტორანტის მე-2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის კომისიაში უნდა იყოს არანაკლებ 10 წევრი და მაპროფილებელი კათედრიდან არ უნდა იყოს კომისიის წევრების 20 %-ზე მეტი;
2. დოქტორანტის მე-2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის კომისიაში უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების ყველა პროფესორი;
3. დისერტაციის დაცვის კომისიაში უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების ყველა პროფესორი და მაპროფილებელი კათედრიდან არ უნდა იყოს კომისიის წევრების 20 %-ზე მეტი.

დაადგინეს: სადოქტორო სწავლების, დისერტაციის ხარისხის და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია პროფესორების შეხვედრა, გარკვეული მოსაზრებების ჩამოყალიბება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ. ჯაფანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი გ. ...ომაიშვილი